К61.449
2

ფრიდრიხ ოლივერ უოლდროპი
ომი საქართველოსთან

მეფე ერეკლეს მიმართვა ინგლისის მთავრობასთან 1780 წ.

ზ. ჭიჭინაძისა

თბილისი, სტამბა „სოლაბანი", მაღ. ქ. № 1.
1920

I

ინგლისელებს ქართველები ძველის დროიდან იცნობდენ, ხოლო სიშორის გამო მისვლა-მოსვლა კი არ ჰქონდათ, VXII საუკუნიდან, რაკი ინგლისმა ინდოეთი დაიმორჩილა და აქედან ამათ ზღვრათ იწყეს სპარსეთში შემოსვლა, მის შემდეგ კი ქართველებმა უფრო უკეთ გაიცნეს ინგლისის ერი და მათი მთავრობაც. ისტორიით ვიცით, რომ მეფე ერეკლეს ინგლისის მთავრობასთან 18 წლის განმავლობაში ჰქონდა მიწერ-მოწერ, კაცების გაგზავნ გამოგზავნა და ლაპარაკი საქართველოს მფარველობის შესახებ, მეფე ერეკლეს მოლაპარაკებასა და კაცების გაგზავნ გამოგზავნაში, დიდს მონაწილეობას იღებდეი იმ დროის სპარსეთში მყოფი ინგლისელთა დესპანები, ანუ კონსულები. მეფე ერეკლეს წერილები საქართველოდან მათ მისდიოდათ და მერე სპარსეთიდან ესენი გზავნიდენ ამ წერილებს ინგლისში.

მოხდა ისიც რომ ეს მოლაპარაკება მალე შეწყვეს ინდოეთის ქალაქ მადრასესა და კალკუტაში მეზოვრებ სომხებმა და მათ შორის, სომეხთა მდივარმა, მილიონერმა იაკობ შახრიმიანმაც. მდივარმა ინგლიზის კრეზმა და ინდოელ ბევრის მოსპობის მყოლებელმა, იაკობ შახრომიანი სიხარულით აღივსო, ეს პირი ამით გაკოკლდა და მეფე ერე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯლეს მალე წერილი, მოციქულები და ...ძვირფასი ნივთების ძღვენიც გამოგზავნა და თან მისი დავალებაც, რომ მეფე ერეკლეს ეკისრა ს ქართველოსთან ერთად სომხეთის შესახები ზრუნვა დაინგლისის მთავრობასთან დაწყობილ თათბირში სომხეთის კითხვების ჩარევაც.

მეფე ერეკლეს, როგორც გმირს მეფეს და სომხეთის მფარველს, ესეთი მომართვა და დავალება დიდათ ესიამოვნა, მალე პასუხი მისწერა იაკობ შახრიმიანს და აქ უკვე გაიმართა ამათში კარგი კავშირი და წერილების წერა და მოციქულების გზავნა, მოხდა ისიც, რომ თავ მომწონე მდიდარმა სომეხმა მეფე ერეკლეს ისიც აცნობა, რომ ინგლისის მთავრობის წინაშე თათბირსა და ოხოვნების გადაცემაში მეც დაგეხმარებით და მონაწილეობას მივიღებო.

ამ ამბის გაგებაც მეფე ერეკლეს დიდათ ესიამოვნა და აქამდის თუ ამ საქმეში მეფე ერეკლეს ჰქონიაგობდენ სპარსეთში მცხოვრებ ინგლისელთა კონსულები, ახლა ამ საქმეს ინდოელი მდიდარი მილიონერი იაკობ შახრიმიანიც გამოუჩნდა, რომელმაც ერეკლე მეფეს ისიც კი მოსწერა, რომ ამ საქმისთვის მე დავსდებ მთელს ჩემს შეძლებას ... თუ საჭირო იქნება სიცოცხლესაკით.

მეფე ერეკლე ამ გარემოებამ ისე აღაფრთოვანა და ისე გაახარა, რომ მან ისურვა შახრიმიანის დ... დი პატივისცემა და ღირსებული დაპირების სამ... სამაგიერო ღირსეული დაჯილდოვებით გადახდ...

[illegible]ფე ერეკლემ ისურვა შახრიმიანის საქართველოში [illegible]წვევა და აქედან მოქმედება, ამიტომ მეფე ერეკ-[illegible]ლემ შახრიმიანს უპირველესათ ყოვლისა მიუბოძა [illegible]ავადიშვილობის ღირსება და ამასთანავე, როგორც [illegible]ავადიშვილს საკუთრებათ მთელი ბორჩალოს და [illegible]ორის მახრის ადგილები, სოფლები და ხალხიც [illegible]ებათ.

ამ მამულების და თავადიშვილობის ბოძების [illegible]ველ-გუჯრები მეფე ერეკლემ მალე გაუგზავნა [illegible]კობ შახრიმიანს და ყოველივე დაწერილებით [illegible]ნობა თავის მოწყალების და ამოდენა მამულების [illegible] ყმების ბოძების. ამ მოწყალებამ და ამბების შე-[illegible]ობამ იაკობ შახრიმიანი დიდათ გაახარა. ამანაც [illegible]ლე მოსცა მეფე ერეკლეს სა'ავიერო მადლობის [illegible]სუ'ი, თან გამოატანა ძვირფასი ძღვენი და ისიც [illegible] აცნობა მეფეს, რომ მე ჩემის შეძლებით დაათი [illegible]ას ინდ'ელ მონებით საქართველოში გადმოვსა-[illegible]ლდებიო.

საქართველოში დავხ'ნი ისეთ სავაჭროებს, [illegible]ვხსნი ისეთ ქარხნებს და დავათესინებ ისეთ მოსა-[illegible]ლთა ნამყ'ნს, რაც საკართველოში არ იციან ჯერ [illegible] ეს კი მათთვის საჭიროებას შეადგ'ნს საცხო-[illegible]ებლ'ათათ, სხვათა შორის ზოგი რამ საქმეთა [illegible]ნობებიც კი ეუწყა მეფეს ჩამოთვლით

[illegible] მაგალითებრ შაქრის ქარხნის გახსნა, ამისათვის [illegible]ნ'ქრის ლერწმის დათ'ვა და მოყვანა.

ასევე აბრეშუმის მოყვანის გამრავლება და

მოშენება და აბრეშუმის ვაჭრობის მოწყობა-მოწესრიგება და სპარსეთ, ინდოეთს და ინგლისშიაცამითი ვაჭრობის დაწყება და ვაჭრობის გავრცელება საქართველოს და ამ ერთა შორის.

ეს ინდოელი სომეხი მალე ჩაება მეფე ერეკლესა და ინგლისის მთავრობის შორის დაწყებულს თათბირში და ამით მან ამ საქმის თათბირი და მოლაპარაკება უფრო განაცხოველა. საქმე მოეწყო და მოწესრიგდა ისე, რომ საქართველოს ინგლისთან დაკავშირების პირობაც დაიწერა რასაკვირველია ინგლისურ ენაზედ. ეს პირობის წერილი სომეხმა შახრიმიანცმა სომხურ ენაზედაც ათარგმნინა და ეგრე იგი ინგლისურს და სომხურს ენაზედ, ინდოეთის ქალაქ მადრასში ცალკე წიგნადაც გამოსცა თავის ხარჯით.

მალე მოხდა ისიც, რომ ამ წიგნის ერთი ცალი გამოუგზავნეს მეფე ერეკლეს, ერთი ცალიც იმ დროის სომეხთ კათალიკოს ლუკას და ერთი ცალიც რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს. წიგნთან ერთად ეკატერინეს მისწერეს ასეთი დავალებაც, თქვენ გიგზავნით ამ წიგნს, რათა თქვენ, როგორც საქართველოს მოსაზღვრე საქრისტიანოს ხელმწიფემ ეს გარემოება გაიცნათ და სა მისალოცინებაში თქვენც მიიღოთ მონაწილეობა, რათა თქვენის დახმარებით კავკასიის თემზედ ალორძინდეს და გაძლიერდეს ერთი საქრისტიანო სახელმწიფო, რომელიც მფარველობას გაუწევს კავკასიის თემზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებთ ყველა ქრისტიანებს და რომლისაც ჭარმ-მდგენ და მეფეთაც იქნება დანიშნული საქართველოს მეფე ერეკლეო.

ამ გარემოებამ ეკატერინეზედ როგორი გავლენა იქონია, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით ის კი ცნობილია, რომ ამის შემდეგ, რუსეთის მონარქიის წყალობით საქართველოს სამეფო გარეშე და შინაური საქმეები უფრო აირია და ბოლოს ამ აღრევას ის დაედო სარჩულათ, რომ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა 1783 წ. და ამისთვის ამ ორ სახელმწიფოს შორის პირობა, ანუ ტრაქტატიც დაიწერა. ვგონებთ რუსებთან დაკავშირების დაჩქარება სულ ამ გარემოებამ გამოიწვია. ეს ასე უნდა იყოს უსათუოდ.

ახლა ჩვენ ვიტყვით ცნობებს ამ წიგნის ბიბლიოგრაფიის შესახებ რამდენსამე სიტყვას და იმასაც მოვიხსენებთ, თუ საქართველოს და ინგლისთ შორის რა პირობები იყო ჩამოთვლილი. ამას მით უფრო ვსაჭიროებთ, რადგანაც დღეს ეს წიგნი ერთობ იშვიათი საშოვნელია, მთელს დედამიწის ზურგზედ მხოლოდ ერთად ერთი წ გნია დაცული, ისიც მეფე ერეკლეს ნაქონი, სხვა წიგნებს კი აირა დასტეხია თავზედ.

ამ წიგნის დაბეჭდის შემდეგ ყველა ეს დაბეჭდილი წიგნები იაკოფ შახრიმიანს ერთ ალაგას ჰქონია დაწყობილი და შენახული, მაგრამ იქ მას უცაედათ ცეცხლი ვასჩენია და წიგნები სულ ისე და

მწვარა, რომ ერთი ცალიც აღარ გადარჩენილა. სული მოსპობილა, როგორ მოხდა ეს, ვინმემ განძრახ მტრობით დასწო, თუ ან სხვა გვარ გაუჩნდა ცეცხლი, ამისი ვერავინ რა შეიტყო. გადარჩამბოლოდ ის წიგნები, რომლების თითო ცალიც ერეკლე მეფეს, სომეხთა ლუკა კათალიკოზს და რუსეთის ეკატერინე იმპერატრიცას გამოუგზავნეს.

ამ სამის წიგნიდამ, ბევრის ძებნის შემდეგ, ტფილისში აღმოჩნდა მეფე ერეკლეს ნაქონი წიგნი, სომეხთ კათალიკოზის ლუკას ნაქონი წიგნი, რომელიც ბევრი ეძება სომეხთ ისტორიკოსმა და არქეოლოგმა ალექსანდრე ერიცოვმა, მაგრამ ვერსად იპოვნა, ასევე არ აღმოჩნდა ეკატერინე იმპერატრიცას ნაქონი წიგნი არსად, თუმცა ესეც ბევრი ეძებეს. მეფე ერეკლეს ნაქონი, წიგნი აქვნდა ამავ ისტორიკოს არქეოლოგს ალექსანდრე ერიცოვს, რომელიც დიდის სიფრთხილით და მოწიწებით ინახავდა ამას, როგორც ერთად ერთს იშვიათს ეგზემპლიარს.

ეს წიგნი ისტორიკოსთან ვნახეთ ჩვენა და ისტორიკოს არქეოლოგის დახმარებით ისიც გავიცანით, თუ ამ წიგნში რამ პირობები იყო მოთვლილი, რომელ პირობებიც ედებოდა საგნათ საქართველოს დაკავშირებას ინგლისის სამეფოსთან: ამიტომ მოგვყავს ეს პირობებიც თავის ცნობებით.

ინგლისის მთავრობა ყურადღებას აპყრობს საქართველოს და სომხეთის ერის და ქვეყნების მდგომარეობას, როგორც ქრისტიან ხალხების.

ინგლისის მთავრობა საქართველოს საქრისტიანო მეფეთ სცნობს ერეკლე მეფეს და ამავე მეფეს იგი აძლიერებს და უწევს ყოველნაირ დახმარებას და მფარველობას.

ამ დახმარების სანაცვლოთ, მეფე ერეკლეც ვალდებულია, რომ მან დახმარება და მფარველობა უნდა გაუწიოს იმ ქრისტიანებს, და მათ შორის სომხებსაც, რომელნიც კავკასიის თემზედ სცხოვრებენ, განსაკუთრებით სომხებს უნდა მისცეს დიდი დახმარება და მფარველობა, ეცადოს ინგლისის დახმარებით, რომ სომხეთში ამ ერის საუფოც აღადგინოს და სომხეთის მეფეთაც თვით ეს ერეკლე მეფე გამოცხადდეს და ამით შაერთდეს და გაძლიერდეს ამ ორის საქრისტიანო ერისაგან ერეკლე მეფის საქართველოს სამეფო.

ამიტომ ინგლისის მთავრობა საქართველოში გზავნის თავის ნასწავლ საშხედრო კაცებს, ესენი საქართველოში, ქართველ ჯარს აწყობენ ევროპიულათ, სწურთვნიან ინგლისურათ, ადგენენ სამხედრო წესებს, ჯარისაგან სამსახურის გადახდას.

ჯარისთვის აკეთებენ საცხოვრებელ სახლებს, აწყობენ ტანთსაცმელის და ჭამა-სმის მოპოვების წესებს და ნამეტურს სანოვაგის.

საქართველოს ქალაქებში არსდება ევროპიელთა წესები, ფართოვდება ვაჭრობა და აღებ მიცემის საქმენი, რაშიაც ინგლისის მთავრობაც უჩენს დახმარებას.

იმართება ფოჩტა წერილების გასაგზავნად, ისეთ-
გორც ქალაქებში. ისევე გზებში სპარსეთსა და
ინდოეთსა და ინგლისს შორის, ფუძნდება გზის
ყარაულები, რათა ვაჭრებმა თავისუფლათ შესძლონ
საქართველოდან სპარსეთსა, ინდოეთსა და ინგლის-
ში სიარული და საქონლების გატან შეტანა.

ქ თფილისში არსდება ევროპიელთა საკონ-
სოლოები, ასევე საქართველოს სამეფო ნ შნავს
თავის კონსოლებს ევროპიელთა ქალაქებში, ფუძ-
ნდება ევროპიული სამმართველოები და საქმეები
ირჩევა ევროპიელთა ერის წესებით, ხოლო ქართუ-
ლის და ადგილობრივ ენებით

ინგლისის მთავრობა ტფილისში ხსნის სხვა და
სხვა საჭირო სასწავლებლებს, მასწავლებლებათ იმ-
ყოფებიან ინ ლისელები, ესენი ამზადებენ ქართვე-
ლებს, ასწავლიან ამათ ევროპიულათ ყველაფერს
სწავლა-განათლებას და მერე ეს გამოწურთვნილი
ქართველები ხსნიან ასეთ სასწავლებელს საქართვე-
ლოს სხვა და სხვა ქალაქებში.

ტფილისში ფუძნდება სრულიად ევროპიული
წესები და ქართველებს, სომხებს და სხვა ქრისტი-
ანებსაც ასწავლიან ევროპიულ ენებს, სხვა და სხვა
სწავლა მეცნიერებასაც, ასეთ პირობათა გარდ
მოთვლილია შახ-იმიანის პირობებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ამ ჰირობის მუხლებსაც მოვიყვანთ მოკლეთ:

შახრამიანი გადმოსახლდება საქართველოში და დასახლდება იმ მამულებზედ, რაც მას მეფე ერეკლემ მიუბოძა-აჩუქა.

იაკობ შახრიმმიანს საქართველოში ეოქყავს თავის 10 ათასი მონა ინდუსები, ამით ასახლებს იმ მამულებზედ, რომელიც მეფე ერეკლემ შახრიმიანს მიუბოძა ჩუქებით.

ინდოელი მუშები საქართველოში ხსნიან შაქრის ქარხნებს და ამისთვის სთესენ შაქრის ლერწამსაც.

ხსნის სხვა და სხვა საქსოვს და საფეიქრო ქარხნებს. ამ ქარხნებში ინდუ'ებთან ერთად მუშაობენ და სწავლობენ ქართველნი, სომეხნი და სხვა ქრისტიანებიც, გარდა მუსულმანებისა.

ასეთ ქარხნებს მფარველობას უწევს საქართველოს სამეფო და ამით ქარხნები და ამის საქმეები უზრუნველყოფილია მტერთა თავ-დასხმა და ცარცვა აკლებისაგან, ან აოხრება დაქცევა ნგრევისაგან.

წიგნში კიდევ ბევრი სხვა პირობებია მოყვანილი, მაგრამ უადგილობისაგამო ჩვენ ეს ყველა აქ არ მოგვყავს, რადგანაც აწინდელ სიძვირეს არ შეეფერება, ის კი ითქმის, რომ ეს წიგნი კარგა, საკმარისათ ფართო, სქელი ზომის წიგნია.

მაშასადამე აქ სხვა და სხვა პირობების მუ-

ხლებიც მრავლათ იქმნება მოთვლილი, ეს ცხადია, ამას ეჭვი არ უნდა. ყველაფერი ეს რასაკვირველია იყო კარგი და პატიოსანი და მეფე ერეკლეც ამის შესრულებას ყოველ დღე ელოდა 1780 წლის შემდეგ, მაგრამ გავიდა ბარე ათი წელიწადი და პირობის შესრულებას კი დასაწყისი აღ ეჩანდა.

ამ გარემოებას მიზეზათ დაედო ისიც, რომ როცა საქართველოს და ინგლის შორის პირობის წერილი დაიწერა და ნიგნათაც დაიბეჭდა, მის შემდეგ, მალე ეს წიგნებიც სულ ერთიანად დაიწვა თურმე და მასთან იაკობ შახრიმიანიც მეორე თუ მესამე თვეს გარდაიცვალა და ამ უბედურებამ თურმე დააბოლავა საქმე უმნიშვნელოთ, თუმცა მეფე ერეკლემ ვერც შახრიმიანის სიკვდილი შეიტყო და ვერც სხვა რამ მიზეზები.

ამიტომაც იყო, რომ მეფე ერეკლე შახრიმიანის მოლოდინში იყო 1796 წლამდისაც კი და კიდევ იმედოვნებდა, რომ შახრიმიანი აგერ მოვა და აგერ მოვაო, მაგრამ არ იქნა მის მოსვლას არაფერი ეშველა, ამიტომ იყო, რომ მეფე ერეკლესაგან ბოძებული ბორჩალო და ლორის მამულებიც შახრიმიანის საკუთრებათ ითვლებოდა.

აღა მაჰმადხანის შემოსევის შემდეგ კი მეფე ერეკლემ ველარ მოითმინა და იაკობ შახრიმიანს მოციქულათ კაცები გაუგზავნა და დაპირების პასუხი მოსთხოვა. ამ მოციქულების მეთაური იყო თბილისელი ვინმე მცხოვრები ქართველი აზნაური-

შვილი რაფიელი დანიბეგოვი, ქართველი ეთნოლიკე ოა ევროპიულის და აზიური ენების მცოდნე.

ეს მოციქული ინდოეთში გაემგზავრა 1796 წელს გაზაფხულზედ, ბევრი მგზავრობის შემდეგ მიაღწიეს შახრიმიანის კარამდის, მაგრამ მათდა სამწუხაროდ შახრიმიანი ცოცხალი აღარ დახვდათ. მეფე ერეკლეს წერილი და დავალება შახრიმიანის შვილს გადასცეს. ამანაც მეფე ერეკლეს დიდი მადლობის წერილი მოსწერა, აცნობა თავის მამის გარდაცვალება და ისიც აუწყა, რომ მამის ჩემის წადილს მე შევასრულებ და მის მაგიერ მე გადმოვსახლდები და დავსახლდები იმ მამულებზედ, რომელიც თქვენგან გვებოძაო. ამ გვარად დაიმედებული მოციქულები ინდოეთიდამ საქართველოში გამოემგზავრენ 1797 წლის ბოლოს.

მგზავრობის დროს, ამათ გზებში დარჩენა მთელი თვეობით უხდებოდათ, ამიტომ მათ დიდათ დაუგვიანდათ, საქართველოში ამათ მოაღწიეს 1898 წლის დამდეგს, ამ დროს, აქ მათ მეფე ერეკლე მიცვალებული დახვდათ და შახრიმიანის წერილი და დაპირება მეფე ერეკლეს შვილს გიორგი მეფეს გადასცეს.

გიორგი მეფემ შახრიმიანის შვილის წერილს და მოციქულის ცნობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და გასცა ბრძანება, რომ მეფე ერეკლესგან ბოძებულ შახრიმიანის მამულები ბორჩალოსა და ლორში იქნეს დაცული და ხელ შეუხებელი.

ეს ამბები ასტრახანის სომხებმაც მალე შეიტყვეს, ამათ მალე მიმართეს პავლე იმპერატორს და სთხოვეს შემდეგი დავალება:

გვიშუამდგომლეთ ქართველის მეფე გიორგისთან, რომ მან ინებოს და თავის სამეფოში, ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხის ქრისტიანები მიიღო და საქართველოს მიწა მამულებზედ სადმე დაასახლოს, ეს ქართველებისათვისაც კარგი იქნება, რადგანაც მათ მეზობლათ ქრისტიანები გაუმრავლდებათ.

პავლე იმპერატორმა შეისმინა სომხების დავალება და ამან მალე მოსწერა გიორგი მეფეს და სთხოვა, რომ ეგები გიორგი მეფეს ეს დაჩაგრული და ლტოლვილი სომხები მიეღო თავის სამეფოში და დაესახლებინა სადმე

მეფე გიორგის პავლე იმპერატორის დიდი ხათრი ჰქონდა. ეს დიდი პატივის მცემელი იყო პავლესი, ამიტომ მალე მისწერა პასუხი და აცნობა შემდეგი დადგენილება თვისი.

მე, ჩემს სამეფოში თავისუფალი ადგილები არსად მაქვს, რომ სომხები დავასახლო. მეფე ერეკლემ დიდი ძალი ადგილები ლორსა და ბორჩალოსი ერთ სომეხს მიუბოძა, აჩუქა, ის სომეხი ინდოეთში სცხოვრობს, დღემდე ეს ადგილები ცარიელია, ის სომეხიც არ მოდის აქ, თუ ისურვებენ, გადმოსახლდნენ და იმ ადგილებზე დასახლდნენ და როცა იმ ადგილების პატრონი მოვა სა-

ქართველოში, მაშინ მათ იმას აძლიონ გადასახადი.

ეს სასიამოვნო ამბავი პავლე იმპერატორმა მალე აცნობა ასტრახანის სომხებს, ამათაც რასა კვირველია გაეხარდათ და მათაც მალე აცნობეს თავიანთ ლტოლვილ უმიწაწყლო სომხე'ს.

К61.2449

სომხის ლტოლვილთ ეს მოწყალების ცნობა დიდათ გაეხარდათ, ესენი მალე მ-ეცნენ გადასახლების სამზადისს და 1799 წლის შუა ზაფხულის რიცხვებში გადმოსახლდნენ მრავლათ და დასახლდნენ ლორსა და ბორჩალოს მაზრაში.

გიორგი მეფის ბრძანებით ამ სომხებს ეუწყათ, რომ ეს თქვენი ადგილები ეკუთვნის იაკობ შახრიმიანს, როცა ამის შვილი მოვა საქართველოში, მაშინ თქვენ იგი უნდა იცნათ ამ ადგილების პატრონად და გადასახადიც მას უნდა აძლიოთო. ამგვარათ მეფე გიორგიც იყო შახრიმიანის შვილის მოსვლის მოლოდინში.

მაგრამ ეს არ მოხდა, წლის თავზედ მეფე გიორგი გარდაიცვალა და ამის შესდეგ, ერთობ მალე 1801 წ. დამდეგს საქართველოც რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამ შეერთების შემდეგ, რუსეთის ახალს მთავრობასაც ეუწყა ის გარემოება, რომ ლორი და ბორჩალოს მაზრა ამა და ამ პირს ეკუთვნისო, ამიტომ, მთავრობამაც ეს ადგილები შახრიმიანის საკუთრებათ იცნა და მის სახელზედაც დაყორლნა.

ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი, შახრიმიანის

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვილი კი საქართველოში არ გადმოსახლდა, თუმ-
ცა მოსვლის ხმები კი ყოველთვის ისმოდა, რომ
აი დღეს მოვა და აი ხვალაო, მაგრამ მოსვლა კი
არ იქმნა. 1846 წ. საქართველოს მთავარმართებ-
ლათ დანიშნულ იქმნა მიხ. ვორონცოვი, მაშინ
ამის წინაშე ორბელიანთ და ბარათაშვილებმა ას-
ტეხეს ასეთი საჩივარი:

მეფე ერეკლემ ჩვენს ძველებს მამულები ჩა-
მოართვა და ყველა ეს მამულები მიუბოძა ინდოელ
სომეხს იაკობ შახრიმიანს, მის შემდეგ ეს მამულები
შახრიმიანის საკუთრებათ დაშთა, საქართველოს
რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ, ამ
მამულების გლეხებს გადასახადი ხაზინაში შეაქვსთ
და იქ ენახება შახრიმიანისთვის, თვით შახრიმიანები
კი არსად სჩანან.

რადგანაც ამ მამულების ბოძების შემდეგ უკვე
გავიდა 50 წელიწადი, შახრიმიანი და ან ამის შვი-
ლი კი არსად სჩანს და არ მოდიან საქართველოში,
ამიტომ ვითხოვთ, რომ ეს ჩვენი საკუთრება და
ჩვენი ძველებისაგან ჩამორთმეული მამულები ჩვენვე
დაგვიბრუნდეს და მამულებიდან ანაღები და გლე-
ებისაგან ხაზინაში შეტანილი გადასახადი კი და-
ჩეს მთავრობის სასარგებლოთ.

ეს დავალება ვორონცოვმა შეისმინა, მერე
გამოძიებაც მოახდინა, რა კი მართლა საქმე ასე
აღმოჩნდა, მის შემდეგ ამის შესახებ უმაღლეს
მთავრობასთან იმეცადინა და ყველა ეს მამულები

ბორჩალოს მაზრის ძველს პატრონებს ორბელიანებს და ბარათაშვილებს დაუბრუნა. დღემდე ამ მამულების უფლება ხსენებული პატრონების გახლავსთ, თუ(ცა ზოგმა კი დიდი ძალი მამულებისა დაყიდეს.

ასე და ამგვარათ დაბოლოვდა ეს საქმე და მისი დაწყობილობა, რომლის უპირველეს მეთაურათ ითვლება აეფე ერეკლე და სპარსეთში მ(ხოვრები ინგლისელების კონსულები. ამ დიდებულ საქმის წარმოების შესახებ ჩვენ გვაქვს რაფ. დანიბეგოვის მოწმობაც, რასაც მოვიყვანთ აქ.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ, რაფიელ დანიბეგოვი რუსეთში გადასახლდა. იქ იმან თავის მოგზაურობა ქართულს ენაზედ დასწერა, მერე ეს მოგზაურობა რუსულათ სთარგმნეს და 1815 წ. პეტროგრადს, რუსულს ენაზედ ცალკე წიგნათ გამოსცეს.

ამ წიგნის დასაწყისშივე არის რაფ. დანიბეგოვისაგან მოხსენებული ამ გარემოების შესახებ შემდეგი ცნობები:

„მეფე ერეკლესა და ინგლისის შორის მიწერ-მოწერა იყო გამართული, რაც სწარმოებდა 18 წლის ჯანმაელობაში. უკანასკნელ მეფე ერეკლემ მე გამგზავნა ინდოეთში ამ საქმის გამო მოციქულათ ინდოელ შახრიმიანთანაო.

გარდა ამისა ამ წიგნში სხვა არაფერი ცნობებია მოყვანილი ამ გარემოების შესახებ.

მას შემდეგ განვლო კარგა ხანმა, მოხდა სხვა და სხვა საქმენი და პირობები და ძველებურ ინგლისელთა კვალათ, საქართველოში, საქართველოს მთავრობის წინაშე, ქართველი ერის წინაშე საამსაბურათ ჩამობრძანდა ჩვენ ში მისტერ ოლივერ უორდროპი, რომელ გარეგნებითაც აღსრულდა ამ ორი ერის ძველებური დიდებული წადილი და ისტორიული ნატვრა, ამიტომაც ჩვენ მიულოცავთ პატივცემულს მისტერ ოლივერ უორდროპს საქართველოში მშვიდობით მორძანებას და მით მეფე ერეკლეს და ინგლისის ძველებურ წადილის კეთილათ შესრულებას და ამ ორ ერთა შორის ერთობის დათესას.

К61.449
2

ი30/772

ფასი 5 მან.

UNIVERSITY OF CALIFORNIA